საჭიროა თუ არა ეკონომიკის განვითარებაში სახელმწიფოს ჩარევა

საქართველოს ეკონომიკა დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ მკვეთრად შეიცვალა, რადგან ქვეყანამ გეგმური სისტემიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადაინაცვლა. 1991–1995 წლებში ქვეყანაში სუსტი სახელმწიფო ინსტიტუტები არსებობდა, სამოქალაქო ომმა, ტერიტორიულმა კონფლიქტებმა და ჰიპერინფლაციამ კი ეკონომიკა თითქმის მთლიანად ჩამოშალა. ამ პერიოდში ვერ ფუნქციონირებდა საგადასახადო სისტემა, ფინანსური კონტროლი და სტაბილური ვალუტა, რამაც გამოიწვია უმუშევრობისა და სიღარიბის ზრდა, განათლებისა და ჯანდაცვის გაუარესება. ეს პერიოდი ნათლად აჩვენებს, რომ სუსტი სახელმწიფო და არაეფექტიანი მართვა შეუძლებელს ხდის ეკონომიკური სისტემის სტაბილიზაციას და საზოგადოების განვითარების უზრუნველყოფას.

2003–2012 წლებში, „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ დაიწყო რადიკალური ლიბერალური რეფორმები. შემცირდა გადასახადები, გამარტივდა ბიზნესის რეგისტრაცია და გაძლიერდა ანტიკორუფციული პოლიტიკა. ეკონომიკური სისტემა უფრო თავისუფალი გახდა, უცხოური ინვესტიციები გაიზარდა და ეკონომიკური ზრდა დაჩქარდა. თუმცა, სახელმწიფოს სოციალური ფუნქცია დარჩა სუსტი, რის გამოც უთანასწორობა გაიზარდა. ეს მაგალითი გვიჩვენებს, რომ თავისუფალი ბაზარი ეფექტიანობას ზრდის, მაგრამ მხოლოდ ბაზარზე დაყრდნობით საზოგადოების ფართო ჯგუფების კეთილდღეობა ყოველთვის არ უზრუნველყოფილა.

2012 წლიდან დღემდე საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკა უფრო შერეული მოდელისკენ გადაიხარა. სახელმწიფო აქტიურად იყენებს ბიუჯეტსა და რეგულაციებს სოციალური პროგრამების, ინფრასტრუქტურული პროექტებისა და სოფლის მეურნეობის მხარდაჭერისთვის. COVID-19 პანდემიის დროს სახელმწიფომ დაფინანსდა ბიზნესის სუბსიდიები და სოციალური დახმარებები, რაც კრიზისის მართვის მაგალითია. თანამედროვე პირობებში გლობალიზაცია, რეგიონული კონფლიქტები და საერთაშორისო ბაზრები დიდ

გავლენას ახდენენ, ამიტომ სახელმწიფო ეკონომიკურ პროცესებში გონივრულ ჩარევას განაგრძობს, რაც უზრუნველყოფს საბაზრო ეფექტიანობას, სტაბილურობას და საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფების დაცვის შესაძლებლობას. ქეთი იკოშვილი

ქეთი იკოშვილი